

საქართველოში COVID-19 პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირება ტელემედიცინისა და ციფრული სამედიცინო ტექნოლოგიების საშუალებით

განხორციელების ვადა: 13.08.2021 - 31.08.2025

EaP ქვეყნები:

Georgia

ევროკავშირის € 4 500 000
წვლილი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

World Health Organization, WHO



პროექტის აღწერა:

ჯანმრთელობისათვის ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირმა, გაეროს ოთხმა ორგანიზაციამ - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO), გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF), გაეროს პროექტების მომსახურების ოფისმა (UNOPS) ძალები გააერთიანეს. პროექტი ხელს უწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, აუმჯობესებს წვდომას ჯანმრთელობისთვის სასიცოცხლო მომსახურებაზე და ამცირებს COVID-19-ით გამონეულ ზენოლას ჯანდაცვის სისტემაზე. პროექტი ხელს უწყობს ევროკავშირისა და გაეროს მიერ საქართველოსთვის COVID-19-ზე რეაგირებისა და ჯანდაცვის საყოველთაო მოცვის შემდგომი სრულყოფის პროცესში განეული მხარდაჭერის მეტად გავრცობასა და გაძლიერებას. პროექტის ფარგლებში ხდება სოფლად ჯანდაცვის სისტემაში ახალი მომსახურების მიდგომის ჩამოყალიბება, როგორცაა ტელემედიცინა, ასევე, სოფლად მომუშავე ჯანდაცვის მუშაკების შესაძლებლობების გაზრდა ტელე-განათლების მეშვეობით, ხარისხიანი პირველადი ჯანდაცვის მომსახურების განვითარების მიზნით. თანამედროვე, ადვილად მოსაგვარებელი ციფრული ტექნოლოგიები საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების სფეროს ასევე ეხმარება ზედამხედველობის, მონაცემთა მართვისა და კონტაქტების მოძიების პროცესში. ამ ინიციატივის მეშვეობით საქართველო არამხოლოდ მიმდინარე, არამედ შესაძლო სამომავლო გამონევეებისთვისაც იქნება მზად და ხელს შეუწყობს საყოველთაო ჯანდაცვის მიღწევას.

მოსალოდნელი შედეგები:

მოკლევადიანი შედეგები

- 200 სოფლის ამბულატორია აღიჭურვება საბაზისო დანადგარებით, მათ შორის, COVID-19-ის მსუბუქი შემთხვევების მართვისთვის საჭირო მონაცემთა ბაზებით და ორსულებისა და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის საჭირო სერვისებით.
- 50 სოფლის ამბულატორია აღიჭურვება ტელემედიცინის მონაცემთა ბაზებით, რაც შესაძლებელს გახდის ისეთი მნიშვნელოვანი არაგადამდები დაავადებების მართვას, როგორცაა დიაბეტი, ჰიპერტენზია და ქრონიკული რესპირატორული დაავადებები.
- შეიქმნება ტელე-მზრუნველობის პლატფორმა და გაიზრდება პერსონალის შესაძლებლობები, რათა მოხდეს უფრო მეტი სერვისების მიწოდება.
- შეიქმნება ონლაინ ტრენინგისა და საკომუნიკაციო პლატფორმა პირველადი ჯანდაცვის მუშაკებისთვის.
- ჯანდაცვის პერსონალი გაიზრდება არაგადამდები დაავადებების, სქესობრივი და რეპროდუქციული მომსახურების, ასევე ბავშვთა ადრეული განვითარების საკითხების ტელემედიცინის საშუალებით მომსახურებაზე.
- შეიქმნება საფუძვლიანი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც მოაგვარებს საქართველოში ტელემედიცინასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების ეთიკურად გამოყენების კუთხით.
- COVID-19 მეთვალყურეობა გაიზრდება ციფრული მექანიზმების გამოყენებით, კონტაქტების უკეთ მოძიების და მონაცემთა უკეთ მართვის მიზნით.
- გაიზრდება მოსახლეობის ცნობიერება და ცოდნა COVID-19 პრევენციისა და ტელემედიცინის საშუალებების შესახებ, მათ